ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შესახებ 2021 წლის ნახევარწლიური ანგარიში

GCSD TRC

ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შესახებ 2021 წლის ნახევარწლიური ანგარიში

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC) საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ბაზაზე, 2018 წელს შეიქმნა. TRC საკუთარ მისიად საქართველოში ტერორიზმისა და მისი მომიჯნავე თემების შესახებ მაღალი ხარისხის ცოდნის შექმნას, დაგროვებასა და გავრცელებას მოიაზრებს. კვლევითი ცენტრის მიზანს წარმოადგენსხსენებული თემების შემსწავლელ თეორეტიკოსებს და შესაბამის პრაქტიკოსებს ხელშეწყობა, რათა ქვეყანაში ტერორიზმის და მისი მომიჯნავე მიმართულებებით განხორციელებული პოლიტიკა სამეცნიერო მტკიცებულებებსა და სიღრმისეულ ანალიზზე იყოს დამყარებული. ტერორიზმის კვლევის ცენტრის სურვილია წაახალისოს და განვითარების საშუალება მისცეს ტერორიზმისა და ძალადოვრივი ექსტრემიზმის თემებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: http://trc.gcsd.org.ge/

დოკუმენტის ციტირების წესი:
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (2021). *ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შესახებ 2021 წლის ნახევარწლიური ანგარიში.* ხელმისაწვდომია: http://trc.gcsd.org.ge/ge/publications/show/83

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი

ავტორი: ბექა ფარსადანიშვილი
თანაავტორი: ლიზა წერეთელი
წინამდებარე დოკუმენტის მომზადებისთვის გაწეული შრომისთვის ტერორიზმის კვლევის ცენტრი მადლობას უხდის ელენე რამინაშვილს, რატი კობახიძეს, ანა ქათამაძეს და ანნა ბრჟეზოვსკაიას.

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა 5
ძირითადი მიგნებები 6
1. ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიებით მოტივირებული ტერორიზმი 10
2. ტერორისტული თავდასხმების განმახორციელებელი ერთეულები 12
3. ტენდენციები ტერორისტული თავდასხმის განხორციელებაში 18
4. ტერორისტული საქმიანობის ხელშემწყობი ქმედებები და მოვლენები 19
5. პანდემიის გავლენა ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმზე 24
6. ძალადობრივ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან გამკლავების კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები 27
7. ტერორიზმი, ძალადობრივი ექსტრემიზმი და საქართველო 34

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის შესახებ 2021 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო მედია პლატფორმებზე გავრცელებული ინფორმაციის შემაჯამებელ ანგარიშს.

ანგარიში მეტწილად ტერორიზმის კვლევის ცენტრის მიერ ზემოთხსენებულ პერიოდში მომზადებულ ახალი ამბების ყოველკვირეულ მიმოხილვას ეყრდნობა. აღნიშნული მიმოხილვები თავის მხრივ ინფორმაციას ისეთი მედია საშუალებების დახმარებით იღებს, როგორებიცაა: Deutsche Welle, BBC, CNN, The Washington Post, Al Jazeera, Independent, France24, Reuters და სხვა.

გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე ანგარიში ძირითადად მედია საშუალებების დახმარებით გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა, ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ კონკრეტული პერიოდისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს ასახავს.

ზოგადი მიმოხილვა

ალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის თვალსაზრისით, 2021 წლის პირველი ნახევარი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა.

წინამდებარე ანგარიშში ძალადობრივ ექსტრემიზსა და ტერორიზმთან დაკავშირებული მოვლენების განხილვა ხსენებული პერიოდისათვის დამახასიათებელი აქტუალური ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიებით იწყება. ანგარიშში წარმოდგენილია ულტრამემარჯვენე, ულტრამემარცხენე და რელიგიის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიების ძირითადი პოსტულატები და 2021 წელს მათთვის დამახასიათებელი რიგი ტენდენციები.

ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია ერთის მხრივ ტერორისტული თავდასხმების განმახორციელებელი ისეთი სუბიექტების შესახებ, როგორებიცაა ულტრამემარჯვენე ტერორისტული, ულტრამემარცხენე და ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები, ხოლო მეორეს მხრივ- არააფილირებული პირები.

კიდევ ერთი საკითხს, რომელსაც წინამდებარე ანგარიში განიხილავს ტერორისტული თავდასხმის განხორციელების პოპულარული ფორმები, ტაქტიკები და მიზნები წარმოადგენს. მოცემულ პარაგრაფში საუბარი იქნება 2021 წელს ტერორისტული ორგანიზაციების და არააფილირებული პირების მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების რიგ ტენდენციებზე.

ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის ხელშემწყობი ქმედებების და მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენების შესახებ. ამასთანავე, დოკუმენტი ცალკე გამოჰყოფს პანდემიის გავლენას ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმზე.

დოკუმენტის ბოლოს აღწერილია ის ნაბიჯები, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ და საქართველომ გადადგეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან გამკლავების მიზნით.

ძირითადი მიგნებები

წინამდებარე ანგარიშზე მუშაობისას ძალადობრივ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან დაკავშირებით რიგი საინტერესო ტენდენციები გამოვლინდა:

ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიები

→ აღნიშნულ პერიოდში გამორჩეულად აქტუალურ იდეოლოგიებს **სალაფიტური ჯიჰადიზმი, ვაჰაბიზმი და ულტრამემარჯვენე იდეოლოგიები** წარმოადგენდა.

→ 2021 წლის პირველ ნახევარში შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა **ულტრამემარცხენე** ძალადობრივი იდეოლოგიები.

→ ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მკაფიო აქტუალიზაცია შეიმჩნევა **დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

ტერორისტული თავდასხმის განმახორციელებელი ერთეულები

→ 2021 წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებით აქტიურ ერთეულებს **ტერორისტული ორგანიზაციები და არააფილირებული პირები წარმოადგენდნენ.**

→ მიმდინარე წელს განსაკუთრებული აქტიურობით **ულტრამემარჯვენე და ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები** გამოირჩეოდნენ.

→ ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურადაა წარმოდგენილი როგორც **ჩრდილოეთ აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში,** ისე- **ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.**

→ 2021 წლის პირველ ნახევარში ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ **ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში.**

→ **არააფილირებული ტერორიზმი** საერთაშორისო საზოგადოებისთვის კვლავაც მწვავე გამოწვევად რჩება.

ტენდენციები ტერორისტული თავდასხმის განხორციელებაში

→ **ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები** ხშირად შედარებით კომპლექსურ (თუმცა კონვენციურ) სამხედრო მეთოდს მიმართავენ ტერორისტული თავდასხმის განხორციელების. რაც თავდასხმისას ძირითადად **კონვენციური იარაღის** გამოყენებას გულისხმობს.

→ აღნიშნულ პერიოდში **არააფილირებული პირები და ულტრამემარჯვენე ჯგუფები** ტერორისტული აქტის განხორციელებისას მეტწილად შედარებით პრიმიტიულ იარაღს იყენებდნენ.

→ 2021 წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო მედიაში **იკლო ინფორმაციამ სუიციდური მეთოდებით** განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შესახებ.

→ **ჩრდილოეთ აფრიკის** რეგიონში წარმოდგენილი ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები საკუთარი ძალაუფლების გავრცელების მიზნით ძირითადად მასშტაბურ და **მეტად მომაკვდინებელ** თავდასხმის ფორმებს მიმართავენ.

→ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ორგანიზაციების მიზანს **შეტყობინების გავრცელება** წარმოადგენს, ისინი **საზოგადოებრივი თავშეყრის** ადგილებში **სადემონსტრაციო მკვლელობებს** ახორციელებენ. ასევე, **სარგებლის მიღების მიზნით,** საკმაოდ ხშირად მიმართავენ **ადამიანების** (განსაკუთრებით ბავშვების) **მოტაცების მეთოდს.**

ტერორისტული საქმიანობის ხელშემწყობი ქმედებები და მოვლენები

→ 2021 წლის პირველ ნახევარში ტერორისტული საქმიანობის ყველაზე აქტუალურ ქმედებებს **ტერორისტული ორგანიზაციების ნარატივის გავრცელება** და მათი ფინანსირება წარმოადგენს.

→ ტერორისტული ორგანიზაციის ნარატივის გავრცელების პლატფორმებს შორის **ინტერნეტი** ლიდერობს.

→ ტერორისტული ორგანიზაციის ფინანსირებისთვის აღნიშნულ პერიოდში ძირითადად ე.წ **„ტრასტის“ სისტემის საფინანსო ქსელების** და **კრიპტოვალუტის აქტიური გამოყენება ხდებოდა.**

→ ხსენებულ პერიოდში ტერორიზმის აქტუალიზაციას ხელი შეუწყო ისეთმა მოვლენებმა, როგორებიცაა:
1. **ამერიკის შეერთებულ შტატებში** დეკემბრისა და ინავრის თვეში განვითარებული მოვლენები.
2. კონფლიქტის ესკალაცია **ღაზის სექტორში.**
3. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო კონტინგენტის გამოსვლის დაწყება **ავღანეთიდან.**

პანდემიის გავლენა ტერორიზმზე

→ მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გავლენის გამო აღნიშნულ პერიოდში ტერორისტული თავდასხმების რიცხვი იკლებს, პანდემიის ფონზე მოიმატა აზიელი იმიგრანტების წინააღმდეგ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა.[1]

→ ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმზე პანდემიის გავლენის აქტუალობაზე მიუთითებს აღნიშნულ თემაზე სამეცნიერო ლიტერატურის ზრდის ტენდენცია.

1.The New York Times (2021). *8 Dead in Atlanta Spa Shootings, With Fears of Anti-Asian Bias.* https://www.nytimes.com/live/2021/03/17/us/shooting-atlanta-acworth ბოლო წვდომა: 8 ივნისი. 2021 წელი.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან გამკლავების კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები

→ 2021 წელს ტერორიზმთან ბრძოლის ყველაზე აქტუალურ ფორმებს წარმოადგენს: კონტრტერორისტული სამხედრო ოპერაციების ჩატარება, კონტრტერორისტული ალიანსების შექმნა, ტერორიზმის დამფინანსებელი ან ხელშემწყობი ერთეულების მიმართ ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება, რეპატრიაციის პროცესების ხელშეწყობა და ტერორიზმთან გამკლავების მიზნით ეროვნული სამოქმედო გეგმის დახვეწა/შემუშავება.

ტერორიზმი, ძალადობრივი ექსტრემიზმი და საქართველო

→ საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენრის (GCSD) პროექტის, **„ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება“,** ფარგლებში **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის** ჩართულობით პირველად შეიქმნა ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმა (საბჭო).


ტერორიზმის თვალსაზრისით ყველაზე სახიფათო სახელმწიფოები
ტერორიზმის თვალსაზრისით შედარებით სახიფათო სახელმწიფოები
ტერორიზმის თვალსაზრისით ნაკლებად სახიფათო სახელმწიფოები
ტერორიზმის თვალსაზრისით მეტნაკლებად უსაფრთხო სახელმწიფოები
ტერორიზმის თვალსაზრისით მეტწილად უსაფრთხო სახელმწიფოები
Created with mapchart.net

1. ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიებით მოტივირებული ტერორიზმი

ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიები რადიკალიზაციის და ტერორისტული თავდასხმის განხორციელების პროცესში აქტიურადაა წარმოდგენილი. 2021 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში აქტუალური ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიების კატეგორიზაცია შესაძლებელია შემდეგი სახით.

1.1 რელიგიის არასწორი ინტერპრეტაციით მოტივირებული ტერორიზმი

რელიგიით მოტივირებული ტერორიზმის უკან, როგორც წესი, კონკრეტული ჯგუფების მიზნებს მორგებული არასწორად ინტერპრეტირებული რელიგიური სწავლებები დგას. ამ თვალსაზრისით, ჯგუფების თუ ცალკეული ადამიანების მიერ საკმაოდ ხშირად ხდება ისლამის მიზანმიმართული არასწორი ინტერპრეტაცია, რაც შემდგომში იარაღად გამოიყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ იდეოლოგიების ჰოსტულატებს შორის არსებული განსხვავებებისა, მსგავსი რადიკალურ იდეოლოგიების ფუნდამენტს წარმოადგენს რწმენა, რომ ჯგუფი, რომელსაც ინდივიდი ეკუთვნის უპირატესია სხვა ჯგუფების მიმართ.

1.2 ულტრამემარჯვენე იდეოლოგიებით მოტივირებული ტერორიზმი

ულტრამემარჯვენე იდეოლოგიების კატეგორიაში ბევრი სხვადასხვა რადიკალური იდეოლოგია ერთიანდება: ნეო-ნაციზმი, ნეო-ფაშიზმი, თეთრი სუპრემატიზმი, ულტრანაციონალიზმი, ანტისემიტიზმი, ეთნონაციონალიზმი და სხვა. აღსანიშნავია, რომ რიგი მკვლევრები სწორედ ულტრამემარჯვენე იდეოლოგიებით მოტივირებულ ტერორიზმს მეხუთე ტალღად მოიაზრებენ.[2]

1.3 ულტრამემარცხენე იდეოლოგიებით მოტივირებული

ულტრამემარცხენე ექსტრემიზმი მემარცხენე პოლიტიკურ იდეოლოგიებს უკავშირდება. ულტრამემარცხენე იდეოლოგიების გავლენის ქვეშ მყოფი სუბიექტები ხშირად მოტივირებული არიან ისეთი იდეოლოგიებით, როგორებიცაა მარქსიზმ-ლენინიზმით და კომუნიზმით.

2. Auger, V. (2020). Right-Wing Terror: A Fifth Global Wave?. Perspectives on Terrorism 14(3). გვ. 87-97 (1)


აღნიშნულ ქვეყნებში შეინიშნება ულტრამემარჯვენე იდეოლოგიების ზრდის ტენდენცია
აღნიშნულ ქვეყნებში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციები მეტწილად ჯიჰადისტური იდეოლოგიით ხასიათდებიან
აღნიშნულ ქვეყნებში წარმოდგენილი გვაქვს როგორც ულტრამემარჯვენე, ისე - ჯიჰადისტური და ულტრამემარცხენე იდეოლოგიები
Created with mapchart.net

2. ტერორისტული თავდასხმების განმახორციელებელი ერთეულები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტერორისტულ თავდასხმაზე პასუხისმგებელი ერთეულები მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაციებით არ განისაზღვრება. წინამდებარე თავში განხილულია მიმდინარე წლის იანვარი-ივნისის პერიოდში სტატისტიკურად ყველაზე აქტიური ტერორისტული თავდასხმების განმახორციელებელი ერთეულები. ეს ერთეულები შემდეგ კატეგორიებში ერთიანდებიან: **ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები, ულტრამემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაციები, ულტრამემარცხენე ტერორისტული ორგანიზაციები და არააფილირებული ადამიანები.**

2.1 ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები

2021 წლის პირველ ნახევარში ისლამისტური ორგანიზაციები ტერორისტული თავდასხმების განხორციელების თვალსაზრისით, სხვა კატეგორიებთან შედარებით ყველაზე მაღალი აქტიურობით გამოირჩეოდნენ. წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია 2021 წლის იანვარი-ივნისის თვეში 7 ყველაზე აქტიური ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია.

2.1.1 თალიბანი

ავღანეთის ისლამური საამირო ან თალიბანი, წარმოადგენს სუნიტურ ულტრა-კონსერვატულ პოლიტიკურ და ტერორისტული დაჯგუფებას, რომელიც ავღანეთში გაჩნდა გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში, საბჭოთა ჯარების გაყვანის, ავღანეთის კომუნისტური რეჟიმის დანგრევისა და სამოქალაქო წესრიგის შემდგომი რღვევის შემდეგ გაჩნდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო კონტინგენტის მიერ ავღანეთის დატოვების პროცესის დაწყების შემდეგ თალიბანი არ წყვეტს ავღანეთის ხელისუფლებასთან ბრძოლას.

სტატუსი: აქტიური

დაფუძნება: 1994 წელი

შტაბ-ბინა: პაკისტანი, ავღანეთი, ირანი

ლიდერი: მავლავი ჰიბატულა ახუნძადა

იდეოლოგია: დეობანდი ფუნდამენტალიზმი, რელიგიური ნაციონალიზმი

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: http://trc.gcsd.org.ge/ge/terroristorganizations/talibani

2.1.2 დაეში



დაეში ანუ ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო (ISIS), ან ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო (ISIL), სუნიტური ჯიჰადისტური იდეოლოგიის მქონე ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც თავის მიზნად ისახავს ყველა მუსლიმის გაერთიანებას და ისლამური ხალიფატის შექმნას ისახავს.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:
http://trc.gcsd.org.ge/ge/terroristorganizations/daeshi

საერთაშორისო კოალიციასთან ბრძოლის შედეგად 2019 წელს ერაყსა და სირიაში **პოზიციების დაკარგვის** მიუხედავად, რიგი მკვლევრების აზრით, დაეში დღესაც რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.

სტატუსი: აქტიური

დაფუძნება: 2004 წელი

შტაბ-ბინა: n,d

ლიდერი: აბუ იბრაჰიმ ალ ჰაშიმი ალ ყურაში

იდეოლოგია: ანტი-შიიზმი, ვაჰაბიზმი, სალაფიტური ჯიჰადიზმი

2.1.3 ბოკო-ჰარამი

ბოკო-ჰარამი ნიგერიაში დაფუძნებული ტერორისტული ჯგუფია, რომელიც მიზნად ისახავს ნიგერიის ამჟამინდელი მთავრობის დამარცხებას და ისლამურ შარიათზე დაფუძნებული რეჟიმის შექმნას. ჯგუფი 2002 წელს დაარსდა და 2009 წლიდან აქტიურად მიმართავს ძალადობრივ ექსტრემისტულ ქმედებებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:
http://trc.gcsd.org.ge/ge/terroristorganizations/boko-harami

ტერორისტულ ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკის პროვინციასთან მომხდარი შეტაკებისას ბოკო-ჰარამის ლიდერმა, **აბუბაქარ-შეკაუმ**, 7 ივნისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სტატუსი: აქტიური

დაფუძნება: 2002 წელი

შტაბ-ბინა: ბორნოს შტატი, ნიგერია

ლიდერი: n,d

იდეოლოგია: ვაჰაბიზმი, სალაფიტური ჯიჰადიზმი

2.1.4 ჰეზბოლა

ჰეზბოლა რადიკალ შიიტ-მუსლიმთა ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს ლიბანში, რომელიც 1985 წელს შეიქმნა. ჰეზბოლას ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი ირანია. აღნიშნული ორგანიზაცია ლიბანსა და ისრაელს შორის მეოცე საუკუნის მიწურულს განვითარებული კონფლიქტის საპასუხოდ ჩამოყალიბდა.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
http://trc.gcsd.org.ge/ge/terroristorganizations/hezbola

მიმდინარე წელს ჰეზბოლა აქტიურად ჩაერთო **ღაზის სექტორში** განვითარებულ მოვლენებში. გარდა ამისა, ეტაპობრივად იზრდება ჰეზბოლას მხარდამჭერთა რიცხვი **დასავლეთ ევროპაში.**

სტატუსი: აქტიური

დაფუძნება: 1985 წელი

შტაბ-ბინა: ბეირუთი, ლიბანი

ლიდერი: ჰასან ნასრალა

იდეოლოგია: ანტი-სიონიზმი, ანტი-იმპერიალიზმი, ხომეინიზმი, შიიტური რადიკალიზმი

2.1.5 ჰამასი

ჰამასი 1987 წლის ბოლოს, პალესტინის პირველი ინტიფადას (აჯანყების) დასაწყისში ჩამოყალიბდა. ჯგუფის წესდება ითხოვს ისრაელის ადგილას პალესტინის ისლამური სახელმწიფოს შექმნას და უარყოფს PLO- სა და ისრაელს შორის დადებულ ყველა შეთანხმებას.ჰამასის მთავარი სამხედრო ძალა კონცენტრირებულია ღაზის სექტორში და დასავლეთ სანაპიროს რეგიონებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
http://trc.gcsd.org.ge/ge/terroristorganizations/hamasi

მიმდინარე წელს ისრაელსა და პალესტინას შორის მომხდარ კონფლიქტში ჰამასმა **სარაკეტო თავდასხმა** განახორციელა ისრაელზე.

სტატუსი: აქტიური

დაფუძნება: 1987 წელი

შტაბ-ბინა: ღაზის სექტორი

ლიდერი: ისმაილ ჰანიე

იდეოლოგია: ანტი-სემიტიზმი, რელიგიური ნაციონალიზმი

2.1.6 ალ-კაიდა

ალ-კაიდა ოსამა ბინ ლადენის მიერ 1988 წელს შექმნილ ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს. ავღანეთის ომის დროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლი მუსლიმების დასახმარებლად ალ კაიდამ ლოჯისტიკური ქსელი შექმნა და წევრების რეკრუტირება დაიწყო.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
http://trc.gcsd.org.ge/ge/terroristorganizations/al-kaida

2020 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ, **ირანს** ალ-კაიდას **ახალი სახლი** უწოდა.

სტატუსი: აქტიური

დაფუძნება: 1988 წელი

შტაბ-ბინა: n,d.

ლიდერი: აიმან ალ-ზავაჰირი

იდეოლოგია: ვაჰაბიზმი, სალაფიტური ჯიჰადიზმი

2.1.7 ალ-შაბააბი

ალ-შაბააბი, სომალში დაფუძნებული ისლამისტ მებრძოლთა ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც 2006 წელს შეიქმნა. ორგანიზაციის მთავარ მიზანს სომალში დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ხელისუფლების შეცვლა და ისლამური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
http://trc.gcsd.org.ge/ge/terroristorganizations/al-shabaabi

სომალის ხელისუფლება **(საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით)** ინტენსიურად იბრძვის **შაბელის რეგიონში** აქტიურ ალ-შაბააბის წინააღმდეგ.

სტატუსი: აქტიური

დაფუძნება: 2006 წელი

შტაბ-ბინა: ჯუბის რეგიონი, სომალი

ლიდერი: აჰმედ უმარი

იდეოლოგია: ვაჰაბიზმი, სალაფიტური ჯიჰადიზმი, ანტი-სემიტიზმი, ანტი-ქრისტიანიზმი

2.2 ულტრამემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაციები

2021 წლის იანვარი-ივნისის პერიოდზე დაკვირვების შედეგად, ნათელია ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიების მზარდი აქტუალიზაცია. ამგვარ იდეოლოგიებზე დაფუძნებული ტერორისტული ორგანიზაციები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილშია წარმოდგენილი. წინამდებარე ანგარიშში მოხსენიებულია 2021 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში ყველაზე აქტიური ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები- ამერიკის შეერთებულ შტატებში ბაზირებული Proud Boys (ამაყი ბიჭები) და Boogaloo Bois (ბუგალო ბოისი).

2.2.1 Proud Boys / „ამაყი ბიჭები“

Proud Boys / ამაყი ბიჭები ულტრამემარჯვენე, ნეო-ფაშისტური, შოვინისტური ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალადობას უწყობს ხელს. ორგანიზაციის წევრები საკუთარ თავს "დასავლელ შოვინისტებად" მოიხსენიებენ.

მიმდინარე წლის 6 იანვარს, **კაპიტოლიუმზე** განხორციელებულ **თავდასხმაში** მონაწილეობის გამო, კანადამ „ამაყი ბიჭები“ ტერორისტულ **ორგანიზაციად** გამოაცხადა.

სტატუსი: აქტიური

დაფუძნება: 2016 წელი

შტაბ-ბინა: n,d. ამერიკის შეერთებული შტატები

ლიდერი: ენრიკე ტარიო

იდეოლოგია: ულტრამემარჯვენე, ნეონაცისტური, შოვინისტური

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
http://trc.gcsd.org.ge/ge/terroristorganizations/amaqi-bichebi

2.2.2 Boogaloo Bois („ბუგალო ბოისი“)

Boogaloo მოძრაობა არის 2019 წელს შექმნილ ანტისამთავრობო ექსტრემისტულ მოძრაობას წარმოადგენს. ორგანიზაციის წევრები მეტწილად იარაღის ენთუზიასტები არიან და არ აქვს მტკიცე ცენტრალიზირებული სტრუქტურა შესაბამისად, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია მეტწილად საერთო ღირებულებების საფუძველზე მოქმედებს.

ბუგალო ბოისი აქტიურად მონაწილეობდა საპრეზიდენტო არჩევნებში **ბაიდენის** გამარჯვებასთან დაკავშირებულ **საპროტესტო აქციებში.**

სტატუსი: აქტიური

დაფუძნება: 2016 წელი

შტაბ-ბინა: n,d. ამერიკის შეერთებული შტატები

ლიდერი: ენრიკე ტარიო

იდეოლოგია: ულტრამემარჯვენე, ნეონაცისტური, შოვინისტური

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
http://trc.gcsd.org.ge/ge/terroristorganizations/boogaloobois

2.3 ულტრამემარცხენე ტერორიზმი

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს ულტრამემარცხენე იდეოლოგიებით მოტივირებული ტერორიზმი ნაკლები სიხშირით შუქდებოდა საერთაშორისო მედიაში, დაფიქსირდა რამოდენიმე ინცინდენტი, რომელიც ყურადღების გამახვილებას საჭიროებს:

მაოისტმა მებრძოლებმა ინდოეთში სახელმწიფო სამსახურის 22 წევრი მოკლეს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
https://www.reuters.com/article/us-india-maoist-attacks-idUSKBN2BR07K?utm_source=iterable&utm_medium=email&utm_campaign=2187288

პერუში ტერორისტული ორგანიზაცია, Shining Path-ის, წევრებმა 16 ადამიანი მოკლეს. სამხედრო ძალებმა აღნიშნულს გენოციდის აქტი უწოდეს. თავად ორგანიზაციამ აქტი „სოციალური წმენდის“ ფორმად შეაფასა.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
https://www.nbcnews.com/news/latino/peru-shining-path-rebels-kill-least-16-ahead-vote-un-

გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, პანდემიის პირობებში ულტრამემარცხენე ტერორიზმის რისკები გაიზარდა.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
https://www.dw.com/en/pandemic-spurred-extremism-says-german-domestic-intelligence/a-57906728

2.4 არააფილირებული ტერორისტები

თავისი არსით, არააფილირებული ტერორისტული სუბიექტები განსხვავდებიან ტერორისტული ორგანიზაციებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ამ სუბიექტების მიერ განხორციელებული ტერორისტული საქმიანობის მასშტაბი შეზღუდულია, მათ შეიძლება საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენონ საზოგადოებას.

ტეხასში 28 წლის კოლმან ბლევინსი დააკავეს. ბლევინსს ბრალად ედება ვოლმარტზე თავდასხმის დაგეგმვა.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
https://www.startelegram.com/news/state/texas/article251811833.html?utm_source=iterable&utm_medium=email&utm_campaign=2412698

3.ტენდენციები ტერორისტული თავდასხმის განხორციელებაში

2021 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში ტერორისტული თავდასხმების განხორციელების პოპულარული ტაქტიკების სხვადასხვა ტენდენციები დაფიქსირდა. აღნიშნული ტენდენციების განხილვა შესაძლებელია როგორც ტერორისტული თავდასხმების განმახორციელებელი სუბიექტების, ისე- გეოგრაფიული ელემენტის გათვალისწინებით.

ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორებიცაა ბოკო-ჰარამი, ალ-შაბააბი,ან დაეში ტერორისტული თავდასხმის განხორციელებისთვის სამხედრო თვალსაზრისით მეტწილად კონვენციურ მეთოდებს იყენებენ.[3]

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არააფილირებული პირები ტერორისტული თავდასხმის განხორციელებისას მეტწილად პრიმიტიულ ტიპს განეკუთნება. თუმცა, არსებობს ამ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებში შეინიშნება ტენდენცია თავად შექმნან იარაღი, რაც ხშირად ასაფეთქებელ ან ცეცხლსასროლი იარაღების შექმნას გულისხმობს.[4]

2021 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების კატეგორიზაცია მისი მიზნის მიხედვითაც შეიძლება. ისეთი ორგანიზაციები როგორებიცაა, ბოკო-ჰარამი და ალ-შაბააბი, პოლიტიკური შეტყობინების დატოვების მიზნით, ხშირად მიმართავენ მასობრივი მკვლელობის მეთოდეს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აფრიკის ჩრდილოეთ და დასავლეთ რეგიონში ტერორისტული ორგანიზაციის ფინანსირების ერთ-ერთ წარმატებულ გზას გატაცების შედეგად მიღებული გამოსასყიდის მიღება წარმოადგენს. ამ მიზნით (განსაკუთრებით აქტიურად) ბოკო-ჰარამი თავს ესხმის სკოლებს და იტაცებს ბავშვებს.[5]

3. *იგულისხმება კონვენციური იარაღის გამოყენება*

4. Independent (2021). *Police issue warning over terrorist use of 3D-printed guns as UK neo-Nazi jailed.* https://www.independent.co.uk/news/uk/crime/3d-printed-guns-terrorism-uk-morrice-b1865750.html?utm_source=iterable&utm_medium=email&utm_campaign=2464653_; ბოლო წვდომა: 8 ივნისი, 2021 წელი.

5. Independent (2021) Gunmen in Nigeria Kidnap More Than 100 Schoolchildren Amid Abduction Epidemic. https://www.wsj.com/articles/gunmen-in-nigeria-kidnap-more-than-100-schoolchildren-amid-epidemic-of-abductions-11622475369?utm_source=iterable&utm_medium=email&utm_campaign=2407744_ ; ბოლო წვდომა: 8 ივნისი, 2021 წელი

4. ტერორისტული საქმიანობის ხელშემწყობი ქმედებები და მოვლენები

2021 წლის პირველ ნახევარში ტერორისტული საქმიანობის ხელშემწყობი პოპულარული ქმედებებიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ორი: ტერორისტული ერთეულების (ორგანიზაციების, დაჯგუფებების, კერძო პირების) დაფინანასება და მათი ნარატივის გავრცელება.
გარდა ხელშემწყობი ქმედებებისა, ტერორიზმის აქტუალიზაციას მსოფლიოში მომხდარმა რამდენიმე მოვლენამ ფართოდ შეუწყო ხელი. ქვემოთ მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია 2021 წლის პირველ ნახევარში მომხდარი 3 მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა:

1. ამერიკის შეერთებულ შტატებში დეკემბრისა და ინავრის თვეში განვითარებული მოვლენები;
2. კონფლიქტის ესკალაცია ღაზის სექტორში;
3. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო კონტინგენტის გამოსვლის დაწყება ავღანეთიდან.

4.1 ძალადობრივი ექსტრემისტული და ტერორისტული ნარატივის გავრცელება

ძალადობრივი ექსტრემისტული და ტერორისტული ნარატივის გავრცელება ტერორისტული საქმიანობის ხელშემწყობი ზემოთ დასახელებული ორი ფორმიდან ყველაზე ხშირად გვხვდება. მიმდინარე წელს მსოფლიოს საერთაშორისო მედიის ყურადღება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალადობრივი ექსტრემისტული და ტერორისტული ნარატივის 160-მა იდენტიფიცირებულმა ერთეულმა მიიპყრო. (იხ. ფიგურა 2, ფიგურა 3 & ფიგურა 4)

4.2 ტერორიზმის ფინანსირება

ტერორისტული ან ძალადობრივი ექსტრემისტული ქმედებების მხარდაჭერის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და ეფექტურ ფორმას ტერორიზმის ფინანსირება წარმოადგენს. მიმდინარე წელს რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა, ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების, დამფინანსებელი ერთეულების და მათი ლოკაციის შესახებ. (იხ. ფიგურა 4, ფიგურა 5 & ფიგურა 6)

ფიგურა 2. ძალადობრივი ნარატივის გავრცელება ქვეყნების მიხედვით 2021 წელს.

ძალადობრივი ექსტრემისტული და ტერორისტული ნარატივის გავრცელების კუთხით პირველ ადგილას დიდი ბრიტანეთია, შემდეგ თურქეთი, ა, იტალია, ახალი ზელანდია და სხვ.





ფიგურა 3. საინფორმაციო პლატფორმები მათზე იდენტიფიცირებული ძალადობრივი იდეოლოგიის გამავრცელებელი აგენტების რაოდენობის მიხედვით.

არანაკლებ საინტერესოა ის პლატფორმები, რომლებსაც აღნიშნული ერთეულები მსგავსი სახის ნარატივის გასავრცელებლად იყენებდნენ. ამ მხრივ წარმოდგენილი გვაქვს 4 სახის კატეგორია: ინტერნეტი, ტელევიზია, ბეჭვდითი მედია და პიროვნების სოციუმი.

პროპაგანდის კატეგორიზაცია.

ფიგურა 4. გავრცელებული ძალადობრივი



ასევე მნიშვნელოვანია დასახელებული ნარატივების შინაარსის მიხედვით კატეგორიზაცია. ამ კუთხით გავრცელებული ნარატივის კატეგორიზაცია 3 ჯგუფად არის შესაძლებელი: ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობის, ძალადობის ან იდეოლოგიის პროპაგანდა.



ფიგურა 5. ტერორისტული ორგანიზაციების დამფინანსებლები სუბიექტების კატეგორიზაცია.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დამფინანსებელთა კატეგორიზაცია შეიძლება სამ ჯგუფად მოვახდინოთ: ინდივიდები, სახელმწიფოები, დაჯგუფებები

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ფინანსური დახმარების შემთხვევაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ე.წ „ტრასტის“ პრინციპზე აგებული ქსელები (იდენტიფიცირებულია 11 ტრანზაქცია) და არაკონვენციური სავალუტო სისტემები (იდენტიფიცირებულია 6 ტრანზაქცია კრიპტოვალუტის დახმარებით).



ფიგურა 6. ყველაზე ხშირად დაფინანსებული ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები.

მიმდინარე წელს სახელმწიფო სტრუქტურების თუ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოვლენილი იქნა ტერორისტული ორგანიზაციის დაფინანსების 31 შემთხვევა, რომლიდანაც აბსოლიტური უმრავლესობა შემთხვევების დაეშს ეკუთვნის.



ფიგურა 7. ტერორისტული საქმიანობის ფინანსირების გეოგრაფია.

4.2 ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის ხელშემწყობი მოვლენები

არანაკლებ მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის მოვლენები, რომელმაც ხელი შეუწყო ტერორიზმის გავრცელებას, განვითარებას, აქტუალიზაციას თუ მის რაიმე სხვა ასპექტს. ამ მხრივ 2021 წლის პირველ ნახევარში შესაძლებელია რამდენიმე მოვლენა დასახელდეს, რომლებმაც ხელი შეუწყეს ტერორისტულ საქმიანობას:

მიმდინარე წლის დასაწყისში საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ამერიკის შეერთებულ შტატებში. 6 იანვარს, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მხარდამჭერები სენატში მიმდინარე სხდომების პარალელურად კონკგრესის შენობაში შეიჭრნენ.[6]

არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოდგა ღაზას სექტორში განვითარებული მოვლენები, რომელმაც ხელი შეუწყო ისეთი ორგანიზაციების ოპერირებას, როგორებიც არიან ჰამასი და ჰეზბოლა.[7]

საგულისხმოა ავღანეთში მიმდინარე მოვლენებიც, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო კონტინგენტის მიერ ტერიტორიების თალიბანს მისცა თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა.[8]

6. USA Today (2021). *Nation's capital braces for violence as extremist groups converge to protest Trump's election loss.* https://www.usatoday.com/story/news/nation/2021/01/04/january-6-dc-protests-against-election-certification-could-violent/4132441001/?utm_source=iterable&utm_medium=email&utm_campaign=1874389_; ბოლო წვდომა: 8 ივნისი, 2021 წელი.
7. Times of Israel (2021). *Gaza terrorists fire barrages at Jerusalem, southern Israel, raising fear of war.* https://www.timesofisrael.com/gaza-terrorists-fire-barrages-at-jerusalem-southern-israel-raising-fear-of-war/ ; ბოლო წვდომა: 8 ივნისი, 2021 წელი.
8. BBC News (2021). UN Afghan envoy Deborah Lyons alarmed at Taliban gains. https://www.bbc.com/news/world-asia-57564716; ბოლო წვდომა: 8 ივნისი, 2021 წელი.

5. პანდემიის გავლენა ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმზე

კოვიდ პანდემია დღესაც კაცობრიობის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება. მისი ზეგავლენა ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმზე განსაკუთრებულად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

UNITAR (UN Institute for Training and Research) მოხსენებაში ვკითხულობთ: „სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე ძალადობრივი ექსტრემისტები გლობალურ პანდემიას ზრდის შესაძლებლობად ხედავენ“. დასკვნაში მოხსენიებულია სამი ნეგატიური ტრენდი, რომლებიც ართულებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლას, ესენია:

1. **დეზინფორმაციის, შეთქმულების თეორიებისა და პროპაგანდის ზრდა;**
2. **ონლაინ რეკრუტირების ზრდა;**
3. **კოვიდთან დაკავშირებული ლოქდაუნების ნეგატიური გვერდითი ეფექტები.**[9]

აღნიშნული დოკუმენტის დასკვნაში მკაფიოდაა გამოკვეთილი, რომ ცხოვრების ონლაინ სივრცეში გადატანა უფრო შესაძლებელს ხდის ექსტრემისტებისთვის მიაწოდონ ადამიანებს თავიანთი პროპაგანდა. ამასთანავე, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სკოლების დახურვამ და სხვა გასართობი აქტივობების გაუქმებამ ახალგაზრდები განსაკუთრებულად მოწყვლადი გახადა ექსტრემისტული პროპაგანდის მიმართ. აქვე აღნიშნულია, რომ კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების ძალისმიერი გზებით დამყარება ზრდის მთავრობის მხრიდან უფლებაწართმეული მოქალაქეების რიცხვს.[10] ეს ასევე შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი რეკრუტირების წყარო ექსტრემისტებისთვის.

აღსანიშნია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული დოკუმენტი „ეროვნული სტრატეგია შიდა ტერორიზმთან დასაპირისპირებლად“. დოკუმენტში, არსებული სიტუაციის შეფასებისას ნახსენებია, რომ სხვა მიზეზებთან ერთად, კოვიდ-სიტუაციაც გახდება ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გამოიწვევს ქვეყნის შიგნით არსებული ექსტრემისტული ორგანიზაციების ძალადობრივ ქმედებებს.[11]

კოვიდ პანდემიისა და ტერორიზმის კავშირზე დოკუმენტი შეიმუშავა ევროკავშირმაც. ევროკავშირის საბჭოს დასკვნის მიხედვით ტერორისტული საფრთხე ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის არ გაზრდილა კოვიდ პანდემიის შედეგად. ამის მიუხედავად, დოკუმენტი[12] აღნიშნავს, რომ ტერორისტული აქტივობების ნაწილი გადავიდა ონლაინ სივრცეში და შესაძლებელია სხვადასხვა ჯგუფებში გაზრდილი რეკრუტირების შემჩნევა.

აქვე ნახსენებია, რომ კოვიდისგან გამოწვეული სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებს სავარაუდოდ გაზრდის ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საფრთხეებს.

---

9. United Nations, Institute for Training and Research (2021). *Impact of Covid-19 on violent extremism and terrorism.*
10. Ibid
11. US Government, National Security Council (2021). *National Strategy for countering Domestic Terrorism.* Washington DC.
12. General Secretariat of the Council (2021). Draft Council Conclusions on the impact of the COVID-19 pandemic on the threat posed by terrorism and violent extremism, including the impact on CT and CVE

მიუხედავად ცხადად გაზრდილი საფრთხეებისა, ამ ეტაპზე არსებული ემპირიული მონაცემები არასრულფასოვნად, თუმცა მაინც მიგვითითებს, რომ ჯერ-ჯერობით ტერორისტული და ექსტრემისტული ორგანიზაციების კოვიდთან დაკავშირებული პროპაგანდა წარმატებული ვერ აღმოჩნდა და საქმე არ გვაქვს რეკრიტურების მასშტაბების განსაკუთრებულ ზრდასთან.[13]

საუბარია ასევე იმაზეც, რომ ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ ტერიტორიას შეუძლიათ მიიღონ სახალხო მხარდაჭერა, თუკი ისინი მოახერხებდნენ უკეთესად გამკლავებოდნენ პანდემიას. ეს მცდელობა მართალც ჰქონდათ ავღანეთის „თალიბანს“ და „ჰაიათუ თაჰრირი ალ-შამის“, რომელიც სირიის გარკვეულ ტერიტორიას აკონტროლებს. ამ ორმა ორგანიზაციამ მართლაც გადადგა ნაბიჯები კოვიდ-პანდემიის შესაბრკოლებლად. თუმცა რა ეფექტი გამოიღო ამან სახალხო განწყობებზე რთული განსასაზღვრია, ვინაიდან ამ ტერიტორიებიდან არ არსებობს სანდო და ობიექტური სტატისტიკური მონაცემები.[14]

არსებობს ასევე მოსაზრება, რომ ტერორისტულ ორგანიზაციებს კოვიდ-პანდემიის პირობებში უნდა გამარტივებოდათ ტერორისტული აქტების ჩადენა. სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ ტერორისტული აქტივობა ზრდას განიცდიდა კოვიდ-პანდემიამდეც და პანდემიის შემდგომი ზრდაც სწორედ ამ ტრენდის გაგრძელებაა და არაა დაკავშირებული თავად კოვიდთან. უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ კოვიდთან დაკავშირებული რეგულაციები, როგორიცაა მაგალითად შეზღუდვა გადაადგილებაზე, აფერხებს ტერორისტული ორგანიზაციების აქტივობას.[15]

აღსანიშნია ნიდერლანდებში კოვიდ საწინააღმდეგო ვაქცინის ცენტრებზე თავდასხმის განხორციელების არაერთი მცდელობა. სამწუხაროდ, თავდასხმებმა წარმატებით ჩაიარა ქალაქებში- ბოვენკარსპელა და ურკში.[16]

ცალკე განსახილავია თუ რა გავლენა მოახდინა ან მოახდენს კოვიდ პანდემია კონტრ-ტერორისტულ პრაქტიაკზე.

UNITAR-ის დასკვნაში აღნიშნულია კონტრ-ტერორიზმის 4 მნიშვნელოვანი გამოწვევა: ძალადობრივი თავდასხმების მოდიფიცირებული ტაქტიკები; შეჩერებული ან შემცირებული საერთაშორისო უსაფრთხოების მისიები; შეყოვნებული მშვიდობისმყოფელი და განვითარების ინიციატივები; ტერორიზმის დაფინანსების ახალი გზები.[17]

დასკვნაში საუბარია იმაზე, რომ ტერორისტულმა ორგანიზაციებმა შეიძლება მიზანში ამოიღონ საავადმყოფოები და სხვა ამ ტიპის კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურა. ასევე, არსებობს საფრთხე ტერორისტების მხრიდან კოვიდ პანდემიის სპეციალურად გავრცელებისა.

---

13. Armita Haghi, “EICTP Vienna Research Papers on Terrorism and Counter-Terrorism Volume II,” EICTP-Europäisches Institut für Terrorismusbekämpfung und Konfliktprävention, accessed June 25, 2021, https://www.eictp.eu/en/eictp-research-study-key-determinants-in-the-era-of-covid-19-and-beyond-trajectory-disruption-and-the-way-forwad-volume-ii/.
14. Ibid
15. Ibid
16. The New York Times (2021). “Arrest Made in Terrorism Bomb Plot at Dutch Covid-19 Vaccination Site,” https://nltimes.nl/2021/04/08/arrest-made-terrorism-bomb-plot-dutch-covid-19-vaccination-site. ბოლო ნახვა: 8 ივნისი, 2021
17. United Nations, Institute for Training and Research (2021). Impact of Covid-19 on violent extremism and terrorism.

დოკუმენტში ხაზგასმულია ისიც, რომ საერთაშორისო მისიების და სხვადასხვა ინიციატივების შეჩერება ერთი მხრივ ასუსტებს ადგილობრივ უსაფრთხოების სამსახურებს, მეორე მხრივ კი საშუალებას აძლევს ტერორისტების თავად გახდნენ სხვადასხვა სერვისების მიმწოდებლები და ამით აიმაღლონ მათი საჯარო იმიჯი. აქვე საუბარია იმაზეც, რომ ხშირად ტერორისტების დაფინანსება ხშირად სწორედ ჰუმანიტარული დახმარებით არის შენიღბული. კოვიდ სიტუაციამ და მისგან გამოწვეულმა კრიზისმა კი ამ ტიპის დაფინანსების ზრდას შესაძლოა შეუწყოს ხელი.[18]
CTED (UN Security Council Counter-terrorism Committee)-ის კვლევა ასევე ამტკიცებს, რომ კონტრ-ტერორიზმი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. აქ სხვა ფაქტორებთან ერთად ხაზგასმითაა აღნუშნული უსაფრთხოების ორგანოებისთვის დაფინანსების შემცირება, რაც გამოწვეულია კოვიდ სიტუაციასთან გამკლავების აუცილებლობით. ეს კი განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება იმ სახელმწიფოებზე, რომელთა ბიუჯეტიდან ისედაც მცირე ნაწილი იხარჯებოდა უსაფრთხოებაზე.[19]
ეს კვლევა ამტკიცებს, რომ პანდემიასა და ტერორისტული ძალადობის ბუნების თუ ინტენსიობის ცვლილებას შორის რაიმე ტიპის ნათელი კორელაციის დასადგენად საკმარისი ემპირიული მასალა არ არსებობს. ამის მიუხედავად, კოვიდ პანდემიამ სავარაუდოდ გაამძაფრა ის სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც ხშირად ტერორიზმის ხელშემწყობია. აქვე ხაზგასმულია, რომ კონტრ-ტერორიზმს სჭირდება ახალ რეალობასთან ადაპტაცია, რადგანაც ბევრი სამუშაო მეთოდი და მიდგომა საკმაოდ შეცვლილია და პანდემიამდელ მდგომარეობასთან დაბრუნება არ იქნება მარტივი.[20]
კონტრ-ტერორიზმზეა საუბარი ევროკავშირის საბჭოს დასკვნაშიც. აქ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ნახსენებია კონტრ-ტერორისტული სამსახურების ონლაინ რეჟიმზე გადასვლა, რამაც გარკვეულწილ შეზღუდა მათი აქტივობა. დოკუმენტი მოუწოდებეს წევრი სახელმწიფოების ანტი-ტერორისტულ ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ონლაინ ექსტრემისტულ აქტივობას და შეიმუშავონ ეფექტური მეთოდები მასთან გასამკლავებლად.[21]
ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ცხადია - მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის დაწყებიდან დაახლოებით წელიწად ნახევარი გავიდა, ჯერ კიდევ არ არსებობს საკმარისი ემპირიული მონაცემები რაიმე ცხადი დასკვნების გამოსატანად. ნათელია მხოლოდ ის, რომ არსებული სიტუაცია შესაძლოა იყოს გამოყენებული ექსტრემისტული დაჯგუფებების მხრიდან რეკრუტირების ზრდის მიზნით. ასევე, აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ კონტრ-ტერორიზმი ასევე დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე და საჭიროა ანტი-ტერორისტული პრაქტიკის მოდიფიკაცია და ადაპტაცია.

18. Ibid
19. United Nations Security Council, Counter-terrorism Committee (2021). *Update on the impact of the COVID-19 pandemic on terrorism, counter-terrorism and countering violent extremism.*
20. Ibid
21. General Secretariat of the Council (2021). Draft Council Conclusions on the impact of the COVID-19 pandemic on the threat posed by terrorism and violent extremism, including the impact on CT and CVE authorities and their activities.

6. ძალადობრივ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან გამკლავების კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები

წინამდებარე თავში განხილულია ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კუთხით ჩატარებული სამხედრო სპეცოპერაციები, სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა, ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება, წარსულში რადიკალიზირებულ პირთა რეინტეგრაციის საკითხი.

6.1 წარმატებული სამხედრო სპეცოპერაციები

ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით არანაკლებ მნიშვნელოვანია კონტრტერორისტული სამხედრო სპეცოპერაციები. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა. (იხ. ფიგურა 8 & ფიგურა 9)

6.2 ახალი და პოტენციური კონტრტერორისტული ალიანსები

უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს საერთაშორისო თანამშრომლობის ის შემთხვევები, რომლებიც 2021 წლის აღნიშნულ პერიოდში გამოვლინდა. (იხ. ფიგურა 10)

6.3 სანქციები და სხვა ეკონომიკური ბერკეტები

ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით ბრძოლის თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატები მოწინავე სახელმწიფოს წარმოადგენს. 2021 წლის პირველ ნახევარში ამერიკის შეერთბული შტატების მიერ სანქციები დაწესებულია 10 სუბიექტის მიმართ, ხოლო სანქციების დაწესებაზე განხილვა მიმდინარეობს 55 ერთეულის მიმართ. (იხ. ფიგურა 11)

6.4 რეპატრიაციის საკითხი

ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებიდან მნიშვნელოვანია განვიხილოთ 2021 წლის პირველ ნახევარში რეპატრიაციასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები. ამ მხრივ საინტერესო გეოგრაფიული ტენდენციების შემჩნევაა შესაძლებელი. (იხ. ფიგურა 12, ფიგურა 13 & ფიგურა 14)



ფიგურა 8. ტერორისტული ორგანიზაციები მათ წინააღმდეგ ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციების კუთხით

ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ განხორციელებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციების რაოდენობის თვალსაზრისით ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში მოქმედი ორგანიზაციები ლიდერობენ.

ფიგურა 9. კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარების ყველაზე ხშირი ადგილები აფრიკაში.

კონტრტერორისტული სპეცოპერაციების თვალსაზრისით ყველაზე აქტიურად ჩრდილოეთ-აფრიკის რეგიონი ითვლება. კონტრტერორისტული სპეცოპერაციების აბსოლიტური უმრავლესობა ბოკო-ჰარამისა და ალ-შაბაბის წინააღმდეგ ხორციელდება.



ფიგურა 10. 2021 წლის პირველ ნახევარში შექმნილი ან ინიცირებული კონტრტერორისტული ალიანსები.



ფიგურა 11. . ამერიკის შეერთებული შტატების ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური სანქციების სამიზნეები.



მიმდინარე პერიოდში ამერიკის შეერთბულმა შტატებმა სანქციები დაუწესა იემენის ჰუსიტებთან დაკავშირებულ საფინანსო ჯგუფს, ირანის 5 საჯარო მოხელეს, 2 იემენის ჰუსიტების მეთაურებს ალ საადსა და ალი აჰსან ალ-ჰამზის, პირველად ისტორიაში ამერიკის შეერთბულმა შტატებმა სანქციები დაუწესა დაეშის მოზამბიკისა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის განშტოებებს.

საინტერესო სანქციების პაკეტი შეიმუშავეს თურქეთში, სადაც გაეროს მიერ ტერორიზმის კუთხით წარსულში სანქცირებულ პირთა ყველანაირი კომერციული საქმიანობა იკრძალება თურქეთის ტერიტორიაზე.[22]

ამასთანავე, უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭომ პარტია "ოპოზიციური პლატფორმა სიცოცხლისთვის" პრო-რუსულად განწყობილ ლიდერს, ვიქტორ მედვედჩუკს, სანქციები დაუწესა.[23] უკრაინის კანონმდებლობის მიხედვით, უკრაინის მოქალაქეების წინააღმდეგ სანქციების დაწესება მხოლოდ ტერორიზმის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშია ნებადართული.

22. ICLG Online (2021). *Turkey Sanctions.* https://iclg.com/practice-areas/sanctions/turkey; ბოლო წვდომა: 8 ივნისი, 2021 წელი

23. Intell News (2021). *Ukraine's pro-Russian opposition leader Viktor Medvedchuk sanctioned for financing terrorism.* https://www.intellinews.com/ukraine-s-pro-russian-opposition-leader-viktor-medvedchuk-sanctioned-for-financing-terrorism-203490/ ბოლო წვდომა: 8 ივნისი, 2021 წელი

ფიგურა 12. ლიდერი ქვეყნები რეპატრიაციის საკითხში 2021 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით



წარმატებით განხორციელებული რეპატრიაციის პროცედურების მხრივ ლიდერ ქვეყნებს შორის არიან ერაყი (100), საფრანგეთი (39), რუსეთი (37).

ფიგურა 13. საფრანგეთი და რუსეთი 2021 წელს ბავშვთა რეპატრიაციის თვალსაზრისით



შედარებით მარტივად მიმდინარეობს ბავშვთა რეპატრიაციის საკითხი. საფრანგეთსა და რუსეთში დაბრუნებული ადამიანებიდან, ბავშვთა წილი 90.7%-ს შეადგენდა.

→ ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეპატრიაციის საკითხი საკმაოდ სენსიტიურად აღიქმება რიგ ქვეყნებში. საფრანგეთის უარის საპასუხოდ, მოახდინოს ქალთა ჯგუფისა და მათი შვილების რეპატრიაცია ალ-ჰოლის ბანაკიდან, ფრანგმა იურისტებმა პრეზიდენტ მაკრონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში 50 გვერდიანი სარჩელი შეიტანეს.

→ სირიის ბანაკებში არსებული მდგომარეობით აღშფოთებულია საერთაშორისო თანამეგობრობაც. გაერო მოუწოდებს 57 ქვეყანას მოახდინოს სირიის ბანაკებში მყოფი 10 000 ადამიანის საკუთარ ქვეყნებში რეპატრიაცია.

ფიგურა 14. რეპატრიაციის გეოგრაფია



რეპატრიანტთა უმრავლესობა სირიის ალ-ჰოლისა და როჯის ბანაკებშია განლაგებული და რეპატრიაციას ძირითადად დასავლეთ ევროპის და ოკეანიის რეგიონში ითხოვენ.

6.5 ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით

2021 წლის პირველ ნახევარში პანდემიასთან ერთად ტერორიზმის ახალმა ტენდენციებმა იჩინა თავი. იმისათვის რომ მომხდარიყო ადაპტირება ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის ახალ საფრთხეებთან რიგმა სახელმწიფოებმა ახალი ეროვნული სტრატეგიები შეიმუშავეს. ამგვარი კონტრტერორისტული სტრატეგიებიდან შეგვიძლია დავასახელოთ გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მიმდინარე წელს დასახელებული სტრატეგიები და მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი:

გაერთიანებული სამეფოს „2021 წლის ინტეგრირებულ მიმოხილვაში“ საუბარია რადიკალიზაციისა და ტერორიზმის შესახებ:

დოკუმენტის მიხედვით, გაერთიანებული სამეფოსათვის ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი ისლამისტური ტერორიზმია, შემდეგ ადგილებს შესაბამისად იკავებენ- ულტრა მემარჯვენე ტერორიზმი, ულტრამემარცხენე ტერორიზმი, ანარქისტული და არააფილირებული ტერორისტული თავდასხმები.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
http://www.gcsd.org.ge/ge/siakhle/gaertianebuli-samefos-2021-tslis-integrirebuli-mimokhilva
დოკუმენტის სრულად სანახავად იხილეთ:
https://bit.ly/30VaRkH

ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ვახსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული „შიდა ტერორიზმთან გამკლავების ეროვნული სტრატეგია“, რომელიც ოთხ სვეტადაა დაყოფილი, სადაც საუბარია:

სვეტი 1: შიდა ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის გააზრება და გაზიარება
სვეტი 2: რეკრუტირებისა და ძალადობის მიზნით მობილიზაციის პრევენცია
სვეტი 3: შიდა ტერორისტული აქტივობების შეკავება
სვეტი 4: შიდა ტერორიზმის ხელშემწყობ სუბიექტებთან დაპირისპირება გრძელვადიან პერსპექტივაში.

დოკუმენტის სრულად სანახავად იხილეთ:
https://bit.ly/3cLvK8c

7. ტერორიზმი, ძალადობრივი ექსტრემიზმი და საქართველო

ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმთან გამკლავების თვალსაზრისით საქართველოსთვის 2021 წლის იანვარი-ივნისის პერიოდი განსაკუთრებით პროდუქტიული აღმოჩნდა.

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ ჰედაიას ცენტრთან თანამშრომლობით, პროექტის „ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში - საჯარო მოხელეების და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობის განვითარება“, ფარგლებში თებერვალში ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციის პირველი ტრენინგი დასრულდა. ტრენინგზე მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ძალადობრივ ექტრემიზმთან გამკლავების სხვადასხვა მიდგომების, პროგრამებსა და საუკეთესო პრაქტიკების შესახებ.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამა მიზნად ისახავს საჯარო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომელთა მომზადებას და მათთვის ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის პროცესში მიღებული უახლესი პრაქტიკის გააზრებას.

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენრის (GCSD) პროექტის, „ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება“, ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩართულობით პირველად შეიქმნა ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმა (საბჭო). მისი მიზანია, სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის და ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით დაგროვილი ცოდნის და პრაქტიკის გაზიარება, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორს შორის კოორდინაციის მხარდაჭერა და ამ გზით ეფექტიანი პოლიტიკის ხელშეწყობა. საბჭოს მუდმივმოქმედ წევრებად განისაზღვრა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და მონიტორინგის მუდმივმოქმედი კომისიის წევრი სახელმწიფო უწყებები და რვა თემატური არასამთავრობო ორგანიზაცია: საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD), საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS), „ჯეოქეისი“ (Geocase), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), მედიის განვითარების ფონდი (MDF), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC).